

PAVEBANK

პილარ 3

წლიური ანგარიშგება

2025

სარჩევი

1. შესავალი	3
1.1 ხელმძღვანელობის განცხადება	3
1.2 ბანკის მიმოხილვა და სტრატეგიული გეგმები	3
2. კორპორატიული მმართველობა და სადამფუძნებლო სტრუქტურა	5
2.1 აქციონერები და აქციონერთა კრება	5
2.2 სამეთვალყურეო საბჭო	7
2.3 აუდიტის კომიტეტი	16
2.4 რისკების კომიტეტი	19
2.5 დირექტორატი	21
2.6 მფლობელობის სტრუქტურა	26
3. რისკების მართვა და შიდა კონტროლი	27
4. საზედამხედველო კაპიტალი და ძირითადი მაჩვენებლები	34
5. ანაზღაურების პოლიტიკა	38
6. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები	41



შესავალი

1.1. ხელმძღვანელობის განცხადება

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 92/04 ბრძანების შესაბამისად, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნათა დაცვით. სს „პეივ ბანკ ჯორჯია“-ს დირექტორთა საბჭო ადასტურებს, რომ პილარი 3-ის წლიური ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაცია და მონაცემები სრული, ზუსტი და სანდოა. ანგარიში მომზადებულია სრული შესაბამისობით სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა პროცესებისა და კონტროლის მექანიზმების დაცვით.

წინამდებარე გასაჯაროვების ძირითადი მიზანია პილარი 3-ის მოთხოვნების დაკმაყოფილება და ბანკის საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესება რისკ პროფილისა და საზედამხედველო კაპიტალის საკმარისობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებით, რაც განამტკიცებს დაინტერესებული მხარეების ნდობას.

1.2. ბანკის მიმოხილვა და სტრატეგიული გეგმები

სს „პეივ ბანკ ჯორჯია“ (შემდგომში „ბანკი“ ან „პეივ ბანკი“) დაარსდა 2023 წლის 14 მარტს. თავდაპირველად ის რეესტრში დარეგისტრირდა როგორც სს „პეივ ჯორჯია“. 2024 წლის 05 თებერვალს მოხდა საფირმო სახელწოდების ცვლილება, საქართველოს ეროვნული ბანკისგან ლიცენზიის მიღების შემდეგ.

დღესდღეობით სააქციო საზოგადოება „პეივ ბანკ ჯორჯია“ მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 404668436;

ბანკი ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიით (ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი: N305 - 14.12.2023). 2023 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „პეივ ბანკზე“, ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების გათვალისწინებით, საბანკო საქმიანობის ლიცენზია გასცა, თუმცა რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება 7 თვით შეუზღუდა.

2024 წლის ივლისში ეროვნულმა ბანკმა აღნიშნული შეზღუდვა მოხსნა და სს „პეივ ბანკ ჯორჯია“ მიანიჭა სრული ავტორიზაცია რეალურ საბანკო გარემოში საქმიანობის განსახორციელებლად.



■ სექცია 01 | შესავალი

ბანკი საკანონმდებლო შესაბამისობასა და რეგულატორული მოთხოვნების დაცვაზე ძლიერი აქცენტით დაფუძნდა, რაც მიზნად ისახავს მომხმარებელთა ნდობის მოპოვებას მზარდ რეგულირებულ ფინანსურ გარემოში. ჩვენი მისიაა თანამედროვე ციფრული საბანკო გამოცდილების მიწოდება და იმ ძირითადი ფინანსური სერვისების შეთავაზება, რომლებიც ჩვენი მომხმარებლების მზარდ მოთხოვნებს შეესაბამება.

ჩვენი მიზანია ბიზნესების გაძლიერება ინოვაციური ფინანსური გადაწყვეტილებებით, რაც „პეივ ბანკს“ მომავლის ბანკინგის პიონერად აქცევს. ჩვენი პლატფორმა შექმნილია ხაზინის მართვის, გადახდების დამუშავებისა და საბანკო ოპერაციების ფართო სპექტრის ავტომატიზაციისათვის. ეს მიდგომა ეხმარება ჩვენს კლიენტებს შეამცირონ რისკები, გააუმჯობესონ გამჭვირვალობა პარტნიორ ორგანიზაციებთან და გადალახონ ტრადიციული საბანკო სერვისებისთვის დამახასიათებელი შეზღუდვები.

„პეივ ბანკი“ ასევე სთავაზობს სხვა ღირებულებების მომტან დამატებითი მომსახურებებს, რომლებიც ეფუძნება ღია ბანკინგის პრინციპებსა და პროგრამირებადი ბანკინგის შესაძლებლობებს. აღნიშნული ფუნქციონალი გვაძლევს საშუალებას, ბუნებრივად ვინტეგრირდეთ როგორც ბიზნესების, ისე ფიზიკური პირების ყოველდღიურ ფინანსურ ოპერაციებში.



■ სექცია 02 | კორპორატიული მმართველობა

კორპორატიული მმართველობა და სადამფუძნებლო სტრუქტურა

2.1. აქციონერები და აქციონერთა კრება

ბანკის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა წლიური საერთო კრება მოწვეული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად, წლიური გარე აუდიტის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს ორი (2) თვისა.

აქციონერთა საერთო კრება ჩაითვლება სათანადოდ შემდგარად და უფლებამოსილად გადაწყვეტილებების მისაღებად, თუ კრებას ესწრება აქციონერები, რომლებიც ფლობენ საერთო აქციების არანაკლებ 70%-ს (სამოცდაათ პროცენტს). თუ აქციონერთა საერთო კრება არ შედგა, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, იმავე დღის წესრიგით და საბჭოს მიერ დამტკიცებულ ვადაში მოიწვევა ახალი კრება მოქმედი კანონმდებლობის პროცედურების შესაბამისად. აქციონერთა ასეთი საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე (ან მათი წარმომადგენლების) რაოდენობის მიუხედავად.

ბანკის წესდების შესაბამისად და თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციონერთა საერთო კრება იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს ხმების არანაკლებ 75%-იანი კვალიფიციური უმრავლესობით:

- წესდებაში/სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
- საზოგადოებას საქმიანობის შეცვლა;
- კაპიტალთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის, აქციათა რიცხვის გამოშვება, შემცირება, ან აქციათა კლასის შეცვლა);
- აქციათა გამოყენება უზრუნველყოფის საშუალებად;
- საზოგადოებას რაიმე სახის რეორგანიზაცია, მათ შორის ტრანსფორმაცია, კონსოლიდაცია, შერწყმა, სხვა კომპანიის შეძენა, ან გაყიდვა;
- გაკოტრების ან გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების დაწყება;
- სხვა კომპანიის ან მისი ბიზნესის შეძენა;
- ბანკის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშის დამტკიცება;
- ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ბანკის დაშლის ან მისი საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცება, მათ შორის ლიკვიდატორების დანიშვნა და გათავისუფლება;



■ სექცია 02 | კორპორატიული მმართველობა

- ბანკის აქტივების სრული ან მნიშვნელოვანი ნაწილის გასხვისება;
- დივიდენდების გადახდა და დივიდენდებთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები;
- გარე აუდიტორების შერჩევა ან შეცვლა;
- ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დაშლა და მათი ზოგადი უფლებამოსილებების გაუქმება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების განსაზღვრა;
- ახლად გამოშვებული აქციების შესყიდვის/განთავსების ფასის განსაზღვრა;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და დათხოვნა (გარდა სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი წევრის არჩევის ან დათხოვნის საკითხისა, რაც საჭიროებს აქციონერთა კრების ერთსულოვან გადაწყვეტილებას);

საერთო კრება ასევე პასუხისმგებელია აფილირებულ საწარმოებთან და დაკავშირებულ პირებთან დასაღები ხელშეკრულებების ან გარიგებების დამტკიცებაზე.



სამეთვალყურეო საბჭო

2.2. სამეთვალყურეო საბჭო

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ მცირე 3 (სამი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გადარჩევა/გადაყენება ხდება აქციონერთა საერთო კრების მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ მესამედს, მაგრამ არანაკლებ ორ წევრს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი წევრის სტატუსი საიდანაც ერთი არჩევა უნდა მოხდეს აქციონერთა საერთო კრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით. თუ ეს სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული აქციონერთა საერთო კრების მიერ, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა არაუმეტეს 3 (სამი) წლით, თუმცა, მისი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები უნდა გაიმართოს სულ მცირე კვარტალში ერთხელ მაინც, საზოგადოებას მისამართზე ან ნებისმიერ სხვა ადგილას ან ელექტრონულად, რომელსაც განსაზღვრავს თავმჯდომარე. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს საბჭოს წევრთა პირადი დასწრებით, ტელეფონით, ვიდეო ზარიტ, წარმომადგენლის მეშვეობით, ფაქსით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლოა წარმოდგენილი იყვნენ საბჭოს სხვა წევრების მიერ. ერთი წევრი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი სხვა წევრით. საკითხები, რომლებიც საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას, შეიძლება მიღებულ იქნას წერილობითი გადაწყვეტილების დაგზავნის გზით, რომელიც ძალაში შედის ყველა წევრის მიერ მისი მიღების და თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთვის საჭიროა მისი სანოტარო წესით დამოწმება.

სამეთვალყურეო საბჭო შემდგარად ითვლება და მას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია წევრთა უმრავლესობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განიხილება დაკავშირებულ პირთან გარიგების დამტკიცება, რაც საჭიროებს იმ წევრთა არანაკლებ ორი მესამედის თანხმობას, რომელთაც არ გააჩნიათ ინტერესთა კონფლიქტი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არაა უფლებამოსილი გადაწყვეტილებების მისაღებად, თავმჯდომარეს შეუძლია, სამი სამუშაო დღის ვადაში, მოიწვიოს ახალი სხდომა. ახალი სხდომა უფლებამოსილი იქნება გადაწყვეტილებების მიღებაზე, თუ მას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს სულ მცირე 3 (სამი) წევრი. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებამდგომი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს აქციონერთა საერთო კრებას.



■ სექცია 02 | სამეთვალყურეო საბჭო

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უბრალო უმრავლესობით, შემდეგ საკითხებზე: საზოგადოების კორპორაციული მართვის დებულების დამტკიცება/შეცვლა, აქციონერთა საერთო კრებისთვის წარსადგენი გადაწყვეტილებების თაობაზე წინასწარი რეკომენდაციების გაცემა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა, აქციონერთა წლიური საერთო კრების და აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, გარე აუდიტორებისათვის გადასახდელი ანაზღაურებისა და კომპენსაციის თანხასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გეგმების დამტკიცება, საზოგადოებას მმართველი გუნდის საქმიანობის კვარტალური მიმოხილვა და შეფასება ძირითად სამუშაო და საფინანსო ამოცანებთან მიმართებაში, ფილიალებისა და სერვის-ცენტრების შექმნა და ლიკვიდაცია, და/ან სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც შესაძლოა მოითხოვდეს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას.

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული, შემდეგ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე დამსწრე ან წარმოდგენილი წევრების ორი მესამედით: გენერალური დირექტორის და დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნა და თანამდებობიდან გადაყენება, მათთან შრომითი კონტრაქტების გაფორმება და შეწყვეტა, უძრავი ქონების ან სხვა აქტივების შეძენა, გასხვისება და უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება, თუ ასეთი ოპერაციები სცილდება საზოგადოებას ყოველდღიური ეკონომიკური საქმიანობის სფეროს და თუ ასეთი ოპერაციების მოცულობა აღარბებს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს, ფინანსური სახსრების მოზიდვა თუ ეს სცილდება ბანკის ყოველდღიური ეკონომიკური საქმიანობის სფეროს და თუ ასეთი სესხის მოცულობა აღარბებს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს, ახალი საბანკო საქმიანობის (საქმიანობების) წამოწყება ან არსებული საბანკო საქმიანობის (საქმიანობების) შეწყვეტა ან შეჩერება, მონათესავე საწარმოებთან და დაკავშირებულ პირებთან გარიგებების დამტკიცება (საზოგადოებას შიდა პოლიტიკებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით), ბიზნესის სტრატეგიის საერთო პრინციპების და საზოგადოებას ბიზნეს გეგმის განსაზღვრა და წლიური ბიუჯეტის დამტკიცება.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საზედამხედველო ფუნქციის ეფექტურად შესრულებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უნარების, გამოცდილების, ცოდნისა და პროფესიული ფონის მრავალფეროვნებას. ბანკი მიიჩნევს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს მოქმედი ზომა და შემადგენლობა სრულად შეესაბამება მისი საქმიანობის მასშტაბს და სირთულეს. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი ფლობს ლიდერობის მნიშვნელოვან გამოცდილებას სხვადასხვა სექტორში და გეოგრაფიულ არეალში, წევრებს მაღალი თანამდებობები ეკავათ ფინანსურ სექტორში, ტექნოლოგიურ, შესაბამისობასა და კორპორაციულ მმართველობაში - როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ბაზრებზე. მრავალფეროვნება საბჭოს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული და დაბალანსებული გადაწყვეტილებები, გამომდინარე სხვადასხვა პერსპექტივისა და პროფესიული კომპეტენციებიდან.



■ სექცია 02 | სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამოუკიდებლობა განისაზღვრება კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და სრულად შეესაბამება როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს, ასევე საერთაშორისო საუკეთესო კორპორაციული მართვის პრაქტიკებს.

საბჭოს შეფასება და საქმიანობა

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ახორციელებს საკუთარი ეფექტიანობის თვითშეფასებას და ყოველწლიურად აფასებს საკუთარ მანდატს.

სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ატარებს საკუთარი ეფექტიანობის, მისი კომიტეტების ეფექტიანობისა და თითოეული წევრის ინდივიდუალური საქმიანობის ფორმალურ შეფასებას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შეფასების პოლიტიკის შესაბამისად. შეფასება ხორციელდება სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც შედგება ოთხი კომპონენტისგან: სამეთვალყურეო საბჭოს კოლექტიური შეფასება, კომიტეტების შეფასება, ინდივიდუალური თვითშეფასება, ასევე თავმჯდომარისა და დამოუკიდებელი წევრების ცალკე შეფასება. შეფასების კრიტერიუმები მოიცავს კომპეტენციების ფართო სპექტრს, მათ შორის კორპორაციულ მართვას, რისკების მართვას, სტრატეგიულ ზედამხედველობას, დამოუკიდებლობას, ასევე უნარებისა და გამოცდილების მრავალფეროვნებას, რაც ასახავს ბანკის საქმიანობის ხასიათს, მასშტაბს, სირთულესა და რისკის პროფილს. შევსებული კითხვარების მიღების შემდეგ, პასუხისმგებელი ორგანო ახდენს შედეგების კონსოლიდაციასა და ანალიზს, ამზადებს შეჯამებულ ანგარიშს და წარუდგენს შედეგებს სრულ სამეთვალყურეო საბჭოს განხილვისთვის. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება ხარვეზები ან გაუმჯობესების საჭირო სფეროები, სამეთვალყურეო საბჭო გასცემს შესაბამის მითითებებს შესაბამის პირებზე, კომიტეტებზე ან კონტროლის ფუნქციებზე. ყოველწლიური შიდა თვითშეფასების გარდა, ბანკის პოლიტიკა ითვალისწინებს დამოუკიდებელი გარე შეფასების ჩატარებას მინიმუმ სამ წელიწადში ერთხელ, სამეთვალყურეო საბჭოს ან მისი ნომინაციების და კორპორაციული მართვის კომიტეტის მიერ დანიშნული გარე კონსულტანტის მიერ.

2025 წელს სამეთვალყურეო საბჭომ დაასრულა ყოველწლიური შიდა თვითშეფასების პროცესი, რომლის შედეგად დადასტურდა, რომ საბჭოს საქმიანობა ზოგადად ეფექტიანია და შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებს. შეფასების პროცესის შედეგები გამჟღავნებულია ბანკის წლიურ ანგარიშგებაში და შესაბამისი რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად მიეწოდება საქართველოს ეროვნულ ბანკს.



■ სექცია 02 | სამეთვალყურეო საბჭო

2025 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭო და მისი კომიტეტები - აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი - რეგულარულად მართავდნენ შეხვედრებს წლის განმავლობაში. შეხვედრების თემატური სპექტრი მოიცავდა სტრატეგიისა და ბიზნესის განვითარების საკითხებს, მათ შორის ბიზნეს მოდელის განხილვასა და დამტკიცებას, კაპიტალიზაციის გეგმის დამტკიცებას, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობების დაფუძნების ავტორიზაციას. მმართველმა ორგანოებმა ასევე განიხილეს რისკების მართვისა და ზედამხედველობის საკითხები, მათ შორის ძირითადი რისკების მართვის ჩარჩოების და განცხადებების დამტკიცება, რისკების შეფასებისა და მართვის ანგარიშების განხილვა, აღდგენის დაგეგმვა, ასევე კაპიტალისა და ლიკვიდობის ადეკვატურობის შეფასებები. ფინანსური ზედამხედველობის საკითხები მოიცავდა გარე აუდიტორის ანგარიშის განხილვას, სააღრიცხვო პოლიტიკების შეფასებას, მიმდინარე ფინანსური შედეგების მონიტორინგს, დაკავშირებულ მხარეებთან შეთანხმებების განხილვას, ასევე გარე აუდიტორის დანიშვნას. შესაბამისობისა და კონტროლის საკითხები მოიცავდა პერიოდული შესაბამისობის ანგარიშების განხილვას, მარეგულირებლის კიბერუსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს, ასევე დამოუკიდებელი კომპანიის ჩართვას ყოველწლიური IT და კიბერუსაფრთხოების აუდიტის ჩასატარებლად საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისად. კორპორაციული მართვისა და შესაფერისობის საკითხები მოიცავდა კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკების განხილვასა და დამტკიცებას, ინდივიდუალური და კოლექტიური შესაფერისობის შეფასების შედეგების განხილვას, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების შედეგების განხილვას. დამატებით, შესაბამისი მმართველი ორგანოების დღის წესრიგში მნიშვნელოვანი შიდა პოლიტიკების განხილვა და დამტკიცებაც შედიოდა.

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებდა აქტიურ ზედამხედველობას ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან და მარეგულირებელ მოლოდინებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

საანგარიშგებო პერიოდში სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი კომიტეტების ყველა წევრს შეხვედრებზე დასწრების 100%-იანი მაჩვენებელი ჰქონდა.



■ სექცია 02 | სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტების შეხვედრებზე დასწრება

წევრის სახელი და გვარი	სამეთვალყურეო საბჭო (დასწრებული / ჩატარებული)	აუდიტის კომიტეტი (დასწრებული / ჩატარებული)	რისკების კომიტეტი (დასწრებული / ჩატარებული)
ეინურ ბუტია	12 / 12	9 / 9	10 / 10
რეიჩელ მარინ ფრიმენ	12 / 12	9 / 9	10 / 10
კახაბერ კიკნაველიძე	12 / 12	9 / 9	10 / 10
ანურადჰა სუდჰირ ფანზე*	2 / 12	N/A	N/A

* ანურადჰა სუდჰირ ფანზე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად დაინიშნა 2025 წლის 18 სექტემბერს.



■ საქცია 02 | ბიოგრაფიები

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე • დამოუკიდებელი წევრი

ეინურ ბუტია

ეინურ ბუტია ფლობს მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ფინანსებში Hautes Etudes Commerciales-დან, პარიზი, საფრანგეთი და ინჟინერიის ხარისხს (წარჩინებით) Télécom Paris-დან. JPMorgan-ში მუშაობის 20 წლიანი პერიოდის განმავლობაში, ბ-ნმა ბუტიამ დიდი ცოდნა დააგროვა აქტივების სხვადასხვა კლასებში, რაც მოიცავს საკრედიტო პროდუქტებს, ფასიან ქაღალდებს, ახალ ბაზრებს, სასაქონლო ბირჟებსა და სტრუქტურულ ფინანსებს. JPMorgan-ში მუშაობის განმავლობაში, ბ-ნმა ბუტიამ დიდი როლი ითამაშა ფონდთან დაკავშირებული ბიზნესების რეპოზიციონირებაში, რამაც განაპირობა JPMorgan-ის მიერ მსოფლიო მასშტაბით დახურული ფონდებისთვის უზრუნველყოფილი ფინანსების წამყვანი მიმწოდებლის ადგილის დაკავება. მან წვლილი შეიტანა სასაქონლო ინვესტორთა ბიზნესის გაფართოებაში. ამას გარდა, ბ-ნმა ბუტიამ საგულისხმო წვლილი შეიტანა ალტერნატიული ინვესტიციების ფრენშაიზის შექმნაში, რომელიც მომსახურებას უწევდა ინსტიტუციონალურ კლიენტებს ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის რეგიონში.

JPMorgan-ში მუშაობის გამოცდილების გარდა, ბ-ნმა ბუტიამ შეიძინა მრავალ-ოჯახიანი ოფისი, რომელიც აერთიანებს პერსონალურ ინვესტიციებსა და ფინანსურ საქმიანობას. მან საკონსულტაციო მომსახურება გაუწია აღმასრულებელ დირექტორებსა და მსოფლიო ლიდერებს კორპორაციულ სტრატეგიასა და პირად ქონებაზე. ბ-ნმა ბუტიამ ანგოლაში წარმატებით დაძლია ნავთობის კრიზისის გამოწვევები აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე ფოკუსირებით და წარმატებით განახორციელა საოჯახო ბიზნესის რესტრუქტურირაცია.

მისი კარიერის განმავლობაში, ბ-ნმა ბუტიამ დააგროვა უნარების ფართო სპექტრი, რაც მოიცავს ტრანზაქციის მართვას, კლიენტთან მოლაპარაკებების წარმოებასა და სხვადასხვა საკითხის ზედამხედველობას, როგორცაა შესაძლებლობების მოძიება, სტრუქტურირება, საკრედიტო რისკები, საბაზრო რისკები, კანონმდებლობასთან შესაბამისობა, კლიენტთა აქტივების დაცვის უზრუნველყოფა და ფინანსური რესურსების მართვა. აღნიშნულმა გამოცდილებებმა მას შესძინა საგულისხმო უნარები სხვადასხვა ფინანსურ აქტივობასა და ეფექტურ ხელმძღვანელობაში.



■ სექცია 02 | ბიომრავლობა

დამოუკიდებელი წევრი

რეიჩელ მარინ ფრიმენ

რეიჩელ მარინ ფრიმენის განათლება, მათ შორის მოიცავს, პროფესიული განვითარების პროგრამას, კენედის სახელმწიფო სკოლაში, ჰარვარდის უნივერსიტეტი, საცხოვრებლისა და ურბანული განვითარების დეპარტამენტის სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში, მიჩიგანის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხს ბიზნეს ადმინისტრირებაში და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხს (წარჩინებით) მიდლბარის კოლეჯიდან.

ქ-ნი ფრიმენი ფლობს საგულისხმო გამოცდილებას ფინანსური ინიციატივების მართვასა და ხელმძღვანელობაში. 2014 წლიდან 2019 წლამდე, ის იკავებდა ცნობილი ორგანიზაციის ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფის ფარგლებში აზიის წყნარი ოკეანის საკონსულტაციო განყოფილების მენეჯერის პოზიციას ჰონგ კონგში. ამ დროის განმავლობაში, ის ხელმძღვანელობდა საკონსულტაციო მომსახურების განვსასაერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) კავშირის მქონე კლიენტებისათვის. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ფინანსური ხელმისაწვდომობის პოპულარიზაციაში, აგრეთვე, შეიმუშავა ინოვაციური სტრატეგიები კლიენტებისთვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ციფრული ბანკინგი, ბანკ-ფინტექის კოლაბორაცია, მწვანე ფინანსები და მცირე და საშუალო ბიზნესების ფინანსები.

საკუთარი ფუნქციების შესრულებებისას, ქ-ნმა ფრიმენმა ეფექტიანად უხელმძღვანელა IFC-ის სამუშაო ძალას, კერძოდ კი, 100-ზე მეტი პირისგან შემდგარ მრავალფეროვან ჯგუფს, რომელიც ზედამხედველობას უწევდა 70 მილიონ აშშ დოლარად შეფასებულ მნიშვნელოვან საკონსულტაციო პროექტებს. მან რეგიონის წამყვან ქვეყნებში მრავალფეროვანი გამოცდილება შეიძინა, რაც მას დაეხმარა ყოვლისმომცველად გაეანალიზებინა რეგიონული დინამიკა და საბანკო ინდუსტრიაში გამოწვევები. მანამდე, 2008 წლიდან 2012 წლამდე, ქ-ნი ფრიმენი მუშაობდა ცენტრალურ აზიაში ოპერაციების უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე, რაც მოიცავდა, აგრობიზნესსა და მცირე საწარმოებისთვის ინვესტიციების ხელშეწყობასა და მართვას. ამ პერიოდში, მან მნიშვნელოვნად გაზარდა აგრობიზნესის პროდუქტი 13 მილიონ აშშ დოლარამდე. 2004 წლიდან 2008 წლამდე, ის იკავებდა აფრიკაში ფინანსებთან წვდომისთვის რეგიონალური ბიზნეს ხაზის ლიდერის თანამდებობას იოჰანესბურგში. აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფნისას, მან უხელმძღვანელა 20 პროფესიონალისგან შემდგარ გუნდს და განახორციელა არა ერთი პროგრამა ისეთ სფეროებში, როგორიცაა მცირე და საშუალო ბიზნესების ბანკინგი, გენდერული დაფინანსება, საბინაო ფინანსინგი, ლიზინგი, ფინანსური ინფრასტრუქტურა, ფასიანი ქაღალდების ბაზრების განვითარება და მიკროფინანსები. აღსანიშნავია, რომ მან 2.5 წლის განმავლობაში დააარსა შვიდი მიკროსაფინანსო ბანკი 100,000 სასესხო ანგარიშითა და 390,000 სადეპოზიტო ანგარიშით.



■ სექცია 02 | ბიომგრაფიები

დამოუკიდებელი წევრი

კახაბერ კიკნაველიძე

კახაბერ კიკნაველიძის გამოცდილება ფინანსურ სექტორში აღემატება 20 წელს. წლების განმავლობაში, იგი იკავებდა სხვადასხვა წამყვან პოზიციებს, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. მან გადააჭარბა ბანკის ძირითადი შესრულების მიზნებს სასესხო პორტფელის ორნიშნა და კაპიტალის 20%+ ზრდით ყოველ სამ წელიწადში. აგრეთვე, 2016-2019 წლებში, ბ-ნი კიკნაველიძე ზედამხედველობას უწევდა ფინანსური და არა-ფინანსური ბიზნესთა ჯგუფების დაყოფას და ამასთან, მოიზიდა პირველი ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ევრობონდები 500 მლნ-ის ოდენობით. ამ პერიოდში, მან აგრეთვე შეიმუშავა და აამოქმედა სრულიად გადამუშავებული, თანამედროვე მობაილ ბანკინგის პლატფორმა ბანკის 2.1 მილიონი მომხმარებლისთვის.

2008-2016 წლებში, იგი იკავებდა საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობას და როგორც დამოუკიდებელი დირექტორი, მონაწილეობას იღებდა ბანკის განვითარების მიმართულებასთან დაკავშირებულ ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებაში, ზედამხედველობდა შიდა აუდიტს და რისკის ფუნქციებს და ურთიერთობას გარე აუდიტორებთან, როგორც აუდიტისა და რისკის კომიტეტების წევრი. პარალელურად, იგი იკავებდა Rioni Capital Partners-ის (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) მმართველი პარტნიორისა და ინვესტიციების უფროსი ოფიცრის პოზიციას. ბ-ნი კიკნაველიძეს განათლება მიღებული აქვს როგორც საქართველოში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, იგი ფლობს ემორის უნივერსიტეტის (აშშ) მაგისტრის ხარისხს ფინანსებში, ხოლო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხს.

დამოუკიდებელი წევრი

ანურადჰა სუდჰირ ფანზე

ქ-ნი ანურადჰა სუდჰირ ფანზე არის შესაბამისობისა და რისკების მართვის მიმართულებით მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი, რომელსაც ფინანსური მომსახურების სექტორში 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. მისი ექსპერტიზა მოიცავს ციფრულ გადახდებს, კაპიტალის ბაზრებს, აქტივების მართვასა და დაზღვევას. მას მუშაობის გამოცდილება აქვს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიცაა Coinbase, Revolut, Swissquote და Eastspring Investments.

ამჟამად იგი Coinbase Singapore-ში იკავებს შესაბამისობის დირექტორის (Chief Compliance Officer) და ფულის გათეთრების ანგარიშგების ოფიცრის (Money Laundering Reporting Officer) პოზიციას, სადაც პასუხისმგებელია გადახდის სერვისების შესახებ კანონის (Payment Services Act) ფარგლებში მარეგულირებელ შესაბამისობაზე, ფინანსური დანაშაულის პრევენციის ჩარჩოების ზედამხედველობაზე და სინგაპურის მონეტარულ ორგანოსთან (Monetary Authority of Singapore) ურთიერთობაზე. დამატებით, იგი თავმჯდომარეობს Singapore Compliance Oversight Working Group-ს და მონაწილეობს ინდუსტრიულ მარეგულირებელ ინიციატივებში.

მანამდე ქ-ნ ფანზეს ეკავა შესაბამისობის ხელმძღვანელისა და ფულის გათეთრების ანგარიშგების ოფიცრის (MLRO) პოზიცია Revolut Singapore-ში.



■ სექცია 02 | ბიომრავიანი

ქ-ნ ფანზეს აქვს სერტიფიცირებული ბუღალტრის (Chartered Accountant) კვალიფიკაცია, კომერციის ბაკალავრის ხარისხი და პროფესიული სერტიფიკატი კორპორაციული მართვისა და შესაბამისობის მიმართულებით.

მისი გამოცდილება აძლიერებს სამეთვალყურეო საბჭოს კოლექტიურ ექსპერტიზას მარეგულირებელი შესაბამისობის, ფინანსური დანაშაულის პრევენციისა და კორპორაციული მართვის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს ბანკის რისკის პროფილისა და კონტროლის გარემოს ეფექტიან ზედამხედველობას.

კომიტეტები

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო გადასცემს გარკვეულ პასუხისმგებლობებს თავის ძირითად კომიტეტებს ეფექტიანი მართვისა და ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად. რისკების მართვის კომიტეტს თავისი დებულების შესაბამისად დაკისრებული აქვს ბანკზე მოქმედი რისკების ზედამხედველობასთან, იდენტიფიცირებასთან, შეფასებასთან, მართვასთან და შერბილებასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულება. პარალელურად, სააუდიტო კომიტეტი მოქმედებს საკუთარი დებულების საფუძველზე და პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების, შიდა კონტროლისა და აუდიტის პროცესების ზედამხედველობის მხარდაჭერაზე.



აუდიტის კომიტეტი

2.3. აუდიტის კომიტეტი

სს „პეივ ბანკ ჯორჯიას“ აუდიტის კომიტეტი არის მუდმივი კომიტეტი, რომელიც შექმნილია და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. მისი მანდატი მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს დახმარებას ზედამხედველობითი ფუნქციების შესრულებისას შემდეგ მიმართულებებში: ფინანსური ანგარიშგება, შიდა და გარე აუდიტი, შიდა კონტროლი, შესაბამისობა და რეგულატორული ანგარიშგება. კომიტეტი ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობისა და დამტკიცებული მანდატის შესაბამისად.

შემადგენლობა და დამოუკიდებლობა

კომიტეტი შედგება სულ მცირე სამი წევრისგან, რომელთა უმრავლესობა სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები არიან. კომიტეტის თავმჯდომარე არის საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და მას არ აქვს უფლება ერთდროულად უხელმძღვანელოს სამეთვალყურეო საბჭოს და სხვა კომიტეტს. სულ მცირე ორ წევრს, მათ შორის თავმჯდომარეს, უნდა ჰქონდეს ბოლო დროის შესაბამისი გამოცდილება ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვის ან აუდიტის სფეროში. ასეთი შემადგენლობა უზრუნველყოფს პროფესიული კომპეტენციისა და დამოუკიდებლობის საკმარის დონეს საზედამხედველო ფუნქციების ეფექტურად შესრულებისთვის. აუდიტის კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისაგან: რეიჩელ მარინ ფრიმენ (თავმჯდომარე), ეინურ ბუტია, კახაბერ კიკნაველიძე.

სხდომების სიხშირე და პროცედურები

კომიტეტი წელიწადში სულ მცირე ოთხჯერ იკრიბება, საჭიროების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი სხდომები. სხდომების ჩატარება შესაძლებელია როგორც ფიზიკურად, ისე ელექტრონულად, მოსალოდნელია ყველა წევრის დასწრება. კენჭისყრის კვორუმი დგინდება კომიტეტის წევრთა უმრავლესობის დასწრებით. გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უმრავლესობით, თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. თითოეული სხდომის ოქმი დგება წერილობით, რომელიც დასტურდება ხელმოწერით.



■ საქცია 02 | აუდიტის კომიტეტი

ძირითადი პასუხისმგებლობა

აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას:

1. შიდა კონტროლი

კომიტეტი განიხილავს შიდა კონტროლის სისტემების, რისკების მართვის, შესაბამისობისა და კორპორაციული მართვის ჩარჩოს ადეკვატურობასა და ეფექტიანობას. კომიტეტი აკონტროლებს შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციების შესრულებას კონტროლის გაუმჯობესების კუთხით და უზრუნველყოფს დეფიციტების შესაბამის შემდგომ რეაგირებას.

2. ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება

კომიტეტი ზედამხედველობს ბანკის ფინანსური ანგარიშგების მთლიანობას. იგი განიხილავს მნიშვნელოვან ბუღალტრულ შეფასებებს, აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილებებსა და პროფესიული განხილვების შესაბამისობას მოქმედ ფინანსურ სტანდარტებსა და რეგულაციებთან. კომიტეტი ამტკიცებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფინანსურ ანგარიშგებას კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად.

3. გარე ფინანსური და მარეგულირებელი ანგარიშგება

კომიტეტი უზრუნველყოფს, რომ ბანკის წლიური ანგარიში, პილარი 3-ის გამჭვირვალობა და სხვა გარე კომუნიკაციები იყოს ობიექტური, დაბალანსებული და გასაგები. იგი აფასებს, რამდენად სრულად ასახავს ფინანსური და სიტყვიერი ნარატივი ბანკის შედეგებს, ფინანსურ მდგომარეობას, ბიზნესმოდელსა და სტრატეგიას; ასევე განიხილავს გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

4. შესაბამისობა და სამართლებრივი ზედამხედველობა

კომიტეტი განიხილავს ბანკის შესაბამისობის ჩარჩოს, მათ შორის თაღლითობისა და მექრთამეობის საწინააღმდეგო ზომებს და ამტკიცებს შესაბამისობის წლიურ გეგმას. იგი რეგულარულად იღებს და აფასებს ანგარიშებს დარღვევებზე, რეგულატორულ ინციდენტებზე, ინფორმატორების განცხადებებზე და თაღლითობის გამოძიებებზე. ასევე უზრუნველყოფს, რომ შესაბამისობის მმართველი მიმართულება იყოს საკმარისად რესურსებით აღჭურვილი და კვალიფიციური.

5. შიდა აუდიტის ზედამხედველობა

კომიტეტი ნიშნავს და აფასებს შიდა აუდიტის ხელმძღვანელს, ამტკიცებს შიდა აუდიტის წესდებასა და წლიურ გეგმას და უზრუნველყოფს შიდა აუდიტის დამოუკიდებლობას. კომიტეტი განიხილავს აუდიტის ანგარიშებს, აკვირდება რეკომენდაციების შესრულებას და უზრუნველყოფს, რომ ფუნქცია შეესაბამებოდეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასა და სტანდარტებს.



■ საქსია 02 | აუდიტის კომიტეტი

6. გარე აუდიტის ზედამხედველობა

კომიტეტი პასუხს აგებს გარე აუდიტორის დანიშვნის, გადანიშვნის ან გათავისუფლების რეკომენდაციაზე. იგი ზედამხედველობს აუდიტის პროცესს, განიხილავს აუდიტის სტრატეგიასა და შედეგებს და უზრუნველყოფს რეკომენდაციების ეფექტიანად შესრულებას. კომიტეტი რეგულარულად ხვდება გარე აუდიტორს, მათ შორის მენეჯმენტის გარეშე დახურულ ფორმატში.

7. აუდიტთან არადაკავშირებული მომსახურებების ზედამხედველობა

კომიტეტი აკონტროლებს და წინასწარ ამტკიცებს გარე აუდიტორის მიერ გაწეულ აუდიტთან არადაკავშირებულ მომსახურებებს, რათა თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი. იგი განიხილავს ასეთ მომსახურებებთან დაკავშირებულ წლიურ ანგარიშებს და ინარჩუნებს პოლიტიკას აუდიტორის დამოუკიდებლობის დასაცავად.

უფლებები და მანდატი

აუდიტის კომიტეტს/წევრს გააჩნია ფართო უფლებამოსილება:

- მოითხოვოს ნებისმიერი ანგარიში, დოკუმენტი ან განმარტება მენეჯმენტისა და თანამშრომლებისგან;
- მოიწვიოს ნებისმიერი თანამშრომელი ან გარე ექსპერტი სხდომაზე დასასწრებად;
- დაიქირავოს გარე კონსულტანტები ბანკის ხარჯზე;
- დააყენოს საკითხები სხდომის დღის წესრიგში და დააფიქსიროს განსხვავებული აზრი;
- გასცეს რეკომენდაციები კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბანკის პოლიტიკის გაუმჯობესებაზე;
- გადადგეს კომიტეტის წევრობიდან შეტყობინების წარდგენით.

კონფიდენციალურობა და ეთიკა

კომიტეტის წევრები და სხვა პირები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალურობის მკაცრი წესები, რომლებიც ძალაში რჩება მათი მანდატის დასრულების შემდეგაც. მათ ევალებათ იმოქმედონ ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე, შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და დაიცვან უმაღლესი ეთიკური და პროფესიული სტანდარტები.

წლიური მიმოხილვა და ეფექტიანობის შეფასება

კომიტეტი რეგულარულად ახორციელებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებას და მანდატის ყოველწლიურ გადახედვას. იგი აფასებს მიღებული ინფორმაციის ხარისხსა და დროულობას და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს პრაქტიკისა და რეგულაციებთან შესაბამისობის გასაუმჯობესებლად.



■ საქცია 02 | რისკების კომიტეტი

რისკების კომიტეტი

2.4. რისკების კომიტეტი

სს „პეივ ბანკ ჯორჯიას“ რისკების მართვის კომიტეტი არის მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც შექმნილია და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. კომიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რომ ბანკს ჰქონდეს ძლიერი და მომავლისკენ ორიენტირებული რისკების მართვის ჩარჩო, რომელიც შეესაბამება როგორც მის სტრატეგიულ მიზნებს, ასევე რეგულატორულ მოთხოვნებს.

შემადგენლობა და მმართველობა

კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, რომელთა უმრავლესობა სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები არიან. კომიტეტის თავმჯდომარეს ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო კომიტეტის წევრთაგან და ის უნდა იყოს დამოუკიდებელი საბჭოს წევრი, რომელიც არ იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს ან სხვა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს რისკების ზედამხედველობის პროცესში დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.

სხდომები იმართება წელიწადში სულ მცირე ორჯერ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სხდომა. კვორუმი მიიღწევა კომიტეტის წევრთა უმრავლესობის დასწრებით. გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უმრავლესობით, თანაბარი ხმების ოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტია კომიტეტის თავმჯდომარის ხმა. რისკების კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისაგან: კახაბერ კიკნაველიძე (თავმჯდომარე), რეიჩელ მარინ ფრიმენ, ეინურ ბუტია.

პასუხისმგებლობის სფერო

კომიტეტი ზედამხედველობს ბანკის რისკების მართვის სრულ სპექტრს, მათ შორის:

რისკის სტრატეგია და აპეტიტი

კომიტეტი განიხილავს ბანკის რისკის სტრატეგიასა და რისკის აპეტიტს და უზრუნველყოფს მათ თანხვედრას ბანკის სტრატეგიულ, კაპიტალისა და ფინანსურ გეგმებთან. ასევე, ის აკონტროლებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკის ლიმიტებისა და ზღვარის შესრულებას.

კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვა

კომიტეტი ზედამხედველობს კაპიტალის საკმარისობისა და ლიკვიდობის სტრატეგიებს, რათა ბანკს ჰქონდეს საკმარისი ბუფერები როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში.



■ საქცია 02 | რისკების კომიტეტი

რისკების კატეგორიების ზედამხედველობა

კომიტეტი ზედამხედველობს ძირითად რისკის ტიპებს, მათ შორის საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, რეპუტაციულ და კიბერ-რისკებს. ის აფასებს ბანკის შესაძლებლობას აღნიშნული რისკების მართვაზე, ბიზნეს მოდელსა და რეგულატორულ ვალდებულებებთან შესაბამისობაში.

შიდა კაპიტალის საკმარისობის შეფასების პროცესი (ICAAP)

კომიტეტი განიხილავს ICAAP-ის დოკუმენტაციას და გასცემს რეკომენდაციას მის დამტკიცებაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

რისკების შესახებ ანგარიშგება

კომიტეტი იღებს რეგულარულ ანგარიშებს რისკების მთავარი ოფიცრისა (CRO) და სხვა შესაბამისი ერთეულებისგან რისკებზე, რისკის ზღვარის დარღვევებზე და შემამსუბუქებელი ღონისძიებების ადეკვატურობაზე. კომიტეტი უზრუნველყოფს, რომ რისკებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები დროულად და ზუსტად მიეწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს.

გარე რისკების გამჟღავნება

კომიტეტი ზედამხედველობს იმ რისკების გამჟღავნების ხარისხსა და სიზუსტეს, რომლებიც მოხვდება რეგულატორულ დოკუმენტებსა და საჯარო ანგარიშებში, მათ შორის პილარი 3-ის ანგარიშში.

რისკების მმართველობის ზედამხედველობა

კომიტეტი აფასებს ბანკის რისკების მართვის ჩარჩოს ეფექტიანობას, მათ შორის შიდა კონტროლისა და მმართველობის პროცესების. ის ხელს უწყობს რისკების მართვის სათანადო კულტურას და უზრუნველყოფს რისკებზე პასუხისმგებლობის მკაფიო გადანაწილებას დაცვის სამი ხაზის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტი ასევე გასცემს რეკომენდაციებს რისკების მმართველობის, შიდა პოლიტიკებისა და ჩარჩოების გაუმჯობესებაზე სამეთვალყურეო საბჭოსთვის.

კომიტეტი მკაცრად აკვირდება რისკების მთავარი ოფიცრის (CRO) დამოუკიდებლობასა და საქმიანობას, მათ შორის იმ რესურსების ადეკვატურობას, რომლებიც რისკების მართვის ფუნქციას აქვს ხელმისაწვდომი. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტი აკეთებს რეკომენდაციებს CRO-ს დანიშვნის, შეფასებისა და გათავისუფლების თაობაზე.

კონფიდენციალურობა და თვითშეფასება

კომიტეტის ყველა წევრი ვალდებულია დაიცვას მკაცრი კონფიდენციალურობის ვალდებულებები რომლებიც ეხება განხილულ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას. აღნიშნული ვალდებულებები ძალაში რჩება წევრის კომიტეტიდან გასვლის ან მანდატის შეწყვეტის შემდეგაც.

კომიტეტი რეგულარულად ახორციელებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებას და ყოველწლიურად ახორციელებს მანდატის მიმოხილვას. იგი ასევე აფასებს მენეჯმენტისა და რისკის მიმართულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ხარისხს და, საჭიროების შემთხვევაში, ანგარიში წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამისი ცვლილებების რეკომენდაციით.



დირექტორატი

2.5. დირექტორატი

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს დირექტორთა საბჭო, რომლის საქმიანობასაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. ბანკის დირექტორთა საბჭო:

- წარმართავს და ახორციელებს ბანკის მიმდინარე საქმიანობას.
- წინასწარ განიხილავს ბანკის აქციონერთა ან სამეთვალყურეო საბჭოს კრებების დღის წესრიგში შეტანილ ყველა საკითხს, ამზადებს სათანადო ინფორმაციას, წინადადებებს და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტებს.
- ფინანსური წლის დასრულებისას ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მომავალი წლის ბიზნეს გეგმას, რაც მოიცავს წლიურ ბიუჯეტსა და მოგება-ზარალის გაანგარიშებას, აგრეთვე ბანკის საინვესტიციო გეგმას.
- მეთვალყურეობას უწევს ბანკის მიერ ისეთი პროცედურების შესრულებას, როგორიცაა გასესხება, ანგარიშსწორება, დაფინანსება, ნაღდ ფულთან დაკავშირებული მომსახურება, გარანტია, ბანკის ნაღდი ფულისა და ფასეულობების ანგარიშგება და ანგარიშების შედგენა, შიდა კონტროლი და ბანკის ყველა ძირითადი საქმიანობის ზედამხედველობა.
- მეთვალყურეობას უწევს ბანკის ფილიალების და სერვის ცენტრების ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს ყველა მმართველის მიერ საკუთარი ამოცანებისა და ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას.
- განიხილავს გარე და შიდა აუდიტის შედეგად მოწოდებულ ინფორმაციას, ფილიალების მმართველების და სერვის ცენტრების ხელმძღვანელების მიერ მოწოდებულ ანგარიშებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
- უზრუნველყოფს აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კრებების გადაწყვეტილებების შესრულებას.
- შეიმუშავებს ბანკის პოლიტიკებს, წესებს, შინაგანაწესს და ნებისმიერ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს და უზრუნველყოფს პოლიტიკების, შინაგანაწესის და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტის პირობების დაცვას.
- იღებს გადაწყვეტილებებს პერსონალის შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, დასაქმების, და ანაზღაურების საკითხებზე ბანკის წესდებაში მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით.



■ სექცია 02 | დირექტორატი

- გადაწყვეტილებას იღებს ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელიც დრო და დრო, შესაძლოა დაევალოს დირექტორთა საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (ან მისი ცალკეული წევრების მიერ) და/ან აქციონერთა საერთო კრების მიერ.

დირექტორატის შერჩევა და როლები

ბანკის დირექტორატის წევრების შერჩევა რეგულირდება ბანკის შიდა პოლიტიკით, რომელიც ადგენს ობიექტურ, გამჭვირვალე და დამსახურებაზე დაფუძნებულ კრიტერიუმებს, სეპ-ის კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობაში. კანდიდატების შეფასება ხორციელდება ისეთი მოთხოვნების საფუძველზე, როგორიცაა პროფესიული კომპეტენცია, კეთილსინდისიერება, საბანკო სექტორისა და მარეგულირებელი ჩარჩოს სიღრმისეული ცოდნა, დამოუკიდებელი განსჯის უნარი და კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ცოდნა. განათლებისა და გამოცდილების კუთხით, კანდიდატებმა უნდა წარმოაჩინონ ძლიერი ბიზნეს რეპუტაცია საბანკო ან ფინანსურ სექტორში, ასევე კვალიფიკაცია, უნარები და წინა მმართველობითი გამოცდილება, რომელიც პროპორციულია ბანკის ზომასთან, საქმიანობის სირთულესა და რისკის პროფილთან. შერჩევის პროცესი მოიცავს საფუძვლიან სკრინინგსა და დოკუმენტურ გადამოწმებას და საბოლოო დანიშვნამდე ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალდებულო შესაფერისობის შეფასებას. ბანკი დამატებით ხელს უწყობს მრავალფეროვნებას დირექტორატის შემადგენლობაში, განსაკუთრებული აქცენტით გენდერულ ბალანსზე, ასევე იმაზე, რომ მმართველ ორგანოებს კოლექტიურად გააჩნდეთ ურთიერთშემავსებელი უნარებისა და გამოცდილების ისეთი სპექტრი, რომელიც საკმარისია ბანკის დამოუკიდებლად და ეფექტიანად მართვისთვის.

გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია ბანკის საერთო მართვაზე, მათ შორის სტრატეგიულ განვითარებაზე, კაპიტალის მოზიდვაზე, ბიზნესის ზრდაზე, მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობაზე და ბანკის ციფრული საბანკო სტრატეგიის განხორციელებაზე. გენერალური დირექტორი უზრუნველყოფს ლიდერობას ყველა ბიზნეს მიმართულებით, რათა ეფექტიანად განხორციელდეს ბანკის ხედვა და კორპორაციული მართვის ჩარჩო.

გენერალური დირექტორის მოადგილე და რისკების მთავარი ოფიცერი (Chief Risk Officer) პასუხისმგებელია ბანკის რისკების მართვის ჩარჩოზე, მათ შორის ყველა არსებითი რისკის იდენტიფიკაციაზე, შეფასებაზე, მონიტორინგსა და შერბილებაზე. ეს მოიცავს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, საოპერაციო და მოდელურ რისკებს, აგრეთვე რისკების მართვის პროცესებზე ზედამხედველობას და მარეგულირებელი მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. აღნიშნული როლი ასევე მხარს უჭერს რისკების გათვალისწინებას ახალი პროდუქტების განვითარების პროცესსა და ბიზნეს სტრატეგიაში.

გენერალური დირექტორის მოადგილე და ტექნოლოგიების მთავარი ოფიცერი (Chief Technology Officer) პასუხისმგებელია ბანკის ტექნოლოგიურ სტრატეგიაზე, ინფრასტრუქტურასა და ციფრულ არქიტექტურაზე. ეს მოიცავს უსაფრთხო და მასშტაბირებადი საბანკო პლატფორმების განვითარებასა და შენარჩუნებას, ღრუბლოვანი (cloud) და ძირითადი საბანკო სისტემების ზედამხედველობას, ასევე ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფს მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას, საოპერაციო მდგრადობასა და ციფრული ფინანსური მომსახურებების ინოვაციურ განვითარებას.



დირექტორატის გუნდის წევრების ბიოგრაფიები



გენერალური დირექტორი • CEO და თანადამფუძნებელი

ომარ-სალიმ დანანი

ომარ-სალიმ დანანი გამოცდილი ლიდერი და მენარმეა 15 წელზე მეტი გამოცდილებით. ომარ-სალიმ დანანი არის გამოცდილი ფინტექ, საბანკო და გადახდების ანტრეპრენერი, რომელიც ფლობს ფართო გამოცდილებას დაფინანსების მოპოვებაში, ბიზნესისა და პროდუქტის მართვაში, ოპერაციებში, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებაში, რისკების მართვასა და მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობაში. მას აქვს დიდი გამოცდილება რეგულირებადი, მრავალბაზრიანი ფინანსური სერვისებისა და ციფრული საბანკო ოპერაციების მასშტაბირების შესახებ, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მისი ძირითადი კომპეტენციებია საცალო და კომერციული ბანკინგი, რისკების მართვა, კორპორატიული მმართველობა, კაპიტალის მართვა, ფინანსური რეგულაციები, ბიზნესის მასშტაბირება და მოლაპარაკებები.

გამოცდილებები

- **Pave Bank (CEO და თანადამფუძნებელი):** ამჟამად აშენებს ციფრულ ბანკს, რომელიც ფოკუსირებულია პროგრამირებადი ფულისა და ჭკვიანი კონტრაქტების გამოყენებაზე, რაც მიზნად ისახავს გლობალური საბანკო სექტორის რევოლუციას. ააშენა ბიზნესი ნულიდან და ხელმძღვანელობდა სახსრების მოზიდვას, უზრუნველყო აზიაში ყველაზე დიდი წინასწარი დაფინანსება ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპისა და აზიის წამყვანი გლობალური ინვესტორებისგან.
- **BigPay Group (CEO, აღმასრულებელი თავმჯდომარე და თანადამფუძნებელი):** შექმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველაზე დიდი ნეობანკი, რომელმაც გააფართოვა ოპერაციები სინგაპურში, მალაიზიაში, ტაილანდსა და ფილიპინებში. მოიზიდა 165 მილიონ დოლარზე მეტი სააქციო კაპიტალი. ხელმძღვანელობდა უამრავი პროდუქტის განვითარებას მომხმარებლებისთვის, რომელთაც არ ჰქონდათ წვდომა სერვისებთან, მათ შორის ელექტრონული ფულის დეპოზიტები, ფულადი გზავნილები და სამომხმარებლო კრედიტები. ბიზნესი შეიძინა KLSE-ში შემავალმა კომპანია Capital A-მ.
- **Carta Worldwide (EMEA რეგიონის ბიზნესის განვითარების ხელმძღვანელი):** ხელმძღვანელობდა კომერციულ ზრდას EMEA რეგიონში, რაც მოიცავდა 450%-იან შემოსავლების ზრდას 2.5 წელიწადში. მართავდა ურთიერთობებს ბანკებთან, ფინტექ კომპანიებთან და დიდ პლატფორმებთან და ხელმძღვანელობდა მრავალ ინიციატივას უცხოურ ვალუტასა და ღია ბანკინგში. ბიზნესი შეიძინა NASDAQ-ის სიაში შესულმა ფირმა Mogo-მ.
- **მსოფლიო ბანკის ჯგუფი (პროგრამის ანალიტიკოსი):** მუშაობდა ლათინურ ამერიკაში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, რაც ფოკუსირებული იყო ქონებრივი უფლებების ფორმალიზებასა და რეგიონალური პროექტების დეცენტრალიზაციაზე.

ომარ-სალიმ დანანი აქტიურად არის ჩართული გლობალური ფინტექ საზოგადოებების საქმიანობაში სხვადასხვა ასოციაციებისა და ლიდერის როლების საშუალებით, რომლის საშუალებით ხელს უწყობს გლობალური ფინტექ ინიციატივებს ევროპასა და აზიაში.



■ სექცია 02 | დირექტორატი



გენერალური დირექტორის მოადგილე · რისკების დირექტორი (CRO)

დმიტრი ბოჩაროვი

დმიტრი ბოჩაროვი არის ფინტეკისა და საბანკო სფეროს ექსპერტი 20 წლიანი გამოცდილებით ციფრული პროდუქტის განვითარებაში, ოპერაციებში და რისკების მართვაში. მას მთავარი აქცენტი არის ტრადიციული და ციფრული საბანკო გადაწყვეტების შერწყმა, რათა მოწინავე ფინანსური სერვისები მიაწოდოს ბაზარს. დმიტრი ხელმძღვანელობდა გარდამტეხ პროექტებს როგორც ევროპაში, ისე აზიაში, სპეციალიზებული ფინტექ სტრატეგიებში, პროდუქტების მართვასა და ციფრული საბანკო ინიციატივებში.

გამოცდილებები

- **Pave Bank (CRO და თანადამფუძნებელი):** ამჟამად აშენებს ციფრულ ბანკს, რომელიც ფოკუსირებულია პროგრამირებადი ფულისა და ჭკვიანი კონტრაქტების გამოყენებაზე, რაც მიზნად ისახავს გლობალური საბანკო სექტორის რევოლუციას.
- **BigPay Group (Chief Product Officer, Head of Lending, Chief Commercial Officer):** ხელმძღვანელობდა პროდუქტების განვითარებას გადახდების, ციფრული აქტივების, საერთაშორისო გზავნილებისა და სესხების მიმართულებით. თამაშობდა მნიშვნელოვან როლს სრულად ციფრული სესხის პროდუქტების გაშვებაში და BigPay-ის გაფართოებაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. წვლილი შეიტანა BigPay-ის წარმატებულ 100 მილიონი დოლარის ინვესტირების რაუნდში.
- **VPBank (Chief Digital Officer, Head of Digital Lab, Head of Lending):** მართავდა ციფრული სტრატეგიისა და ტრანსფორმაციის პროცესებს, რამაც ვიეტნამში გამოიწვია ციფრული ბანკინგის მნიშვნელოვანი ზრდა. მიღწევები მოიცავს 94%-იან საცალო ტრანზაქციების გადატანას ციფრულ პლატფორმებზე და ზედამხედველობდა ციფრული ლაბორატორიის განვითარებას, რომელიც ფუნქციონირებდა როგორც ინოვაციების ცენტრი ფინტექ პროექტებისთვის.
- **Ferratum Group (Country Manager):** ხელმძღვანელობდა ციფრული სესხების გაფართოებას, რისკების მართვის გაუმჯობესებას და დაკრედიტების 300%-ით ზრდას.
- **HSBC (Deputy Head of Affiliate / Head of Retail Business):** დაიწყო HSBC-ის საცალო ბიზნესის ჩამოყალიბება და მიაღწია უმაღლეს რეიტინგების მომსახურების მიწოდებაში.

დმიტრის კარიერა გამოირჩევა ისეთი ჯილდოებით, როგორიცაა „გამორჩეული ციფრული ბანკი“ (IDG International Data Corporation, 2018) და რამდენიმე აღიარება Asian Banker-ისგან ვიეტნამში ციფრული ინოვაციებისთვის.



■ სექცია 02 | დირექტორატი



გენერალური დირექტორის მოადგილე · ტექნოლოგიური დირექტორი (CTO)

საიმონ ჯეიმს ვანს-კოლინა

საიმონ ვანს-კოლინა გამოცდილი ტექნოლოგიებისა და ფინტექ ინოვატორია, რომელსაც

20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს საბანკო, ფინანსური მომსახურებებისა და ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურაში. მას აქვს აღიარებული წარმატებები საბანკო ტექნოლოგიური პლატფორმების შექმნასა და მასშტაბირებაში, ასევე ტექნოლოგიური გუნდების ხელმძღვანელობაში ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველაზე წარმატებული ფინტექ კომპანიებისთვის. საიმონს აქვს ღრუბლოვანი პლატფორმებთან მუშაობის ფართო გამოცდილება, მათ შორის AWS და GCP, და ასევე მუშაობდა ისეთ თანამედროვე ტექნოლოგიებთან, როგორიცაა Kubernetes. ის ასევე კონსულტირებას უწევდა PWC-სა და Lloyds Bank-ს საბანკო პლატფორმების მიგრაციაში და მონაწილეობდა ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტებისა და სტეიბლკოინების შესახებ განხილვებში ინგლისის ბანკთან.

გამოცდილება

- **Pave Bank (CTO და თანადამფუძნებელი):** ხელმძღვანელობს ინოვაციური პროდუქტების განვითარებას, უზრუნველყოფს რეგულაციებთან შესაბამისობას და ახორციელებს უსაფრთხო პრაქტიკების განვითარებას წამყვან ფინტექ სტარტაპში.
- **BigPay Group (Chief Technology Officer):** პასუხისმგებელი იყო ტექნოლოგიის ყველა ასპექტზე, მათ შორის 50 ინჟინრისგან შემდგარი გუნდის ხელმძღვანელობაზე და რეგულატორული პასუხისმგებლობების მართვაზე. ხელმძღვანელობდა BigPay-ის ტექნოლოგიურ ინიციატივებს სინგაპურსა და მალაიზიაში.
- **Fronted (Co-Founder & Chief Technology Officer):** იყო თანადამფუძნებელი რეგულირებული ფინტექ კომპანიისა, რომელიც ფოკუსირებული იყო სამომხმარებლო კრედიტებზე. წარმატებით მოიზიდა 20 მილიონი ფუნტი სტერლინგის ოდენობის კაპიტალი. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც FCA-ის მიერ დამტკიცებულმა პირმა ორგანიზაციის მართვაში.
- **Monzo Bank (Founding team member & platform engineer):** მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა Monzo-ს განვითარებაში, მათ შორის Kubernetes-ზე მიგრაციაში, რაც ორგანიზაციის მასშტაბირებას უწყობდა ხელს. მისი მუშაობა პროგრამირებად საბანკო მომსახურებაზე გაშუქდა Wired ჟურნალში. Monzo გაიზარდა 7 მილიონ მომხმარებელამდე და მისი ღირებულება \$4.5 მილიარდ აშშ დოლარამდე.
- **Open Banking Working Group (კომიტეტის წევრი):** წარმოადგენდა Monzo-ს ღია საბანკო სტანდარტების ჩამოყალიბებაში და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა FAPI და OIDC-ის ავთენტიფიკაციის მიღებაში.



მფლობელობის სტრუქტურა

2.6. მფლობელობის სტრუქტურა

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერი არის:

აქციონერი	მისამართი	საიდენტიფიკაციო N	აქციათა რაოდენობა	ნაბადართული აქციების %	მანთავსებული აქციების %
Paving the Way Pte Ltd	160 რობინსონ როუდი, N19-08, სინგაპური (160 Robinson Road, N19-08, Singapore) (068914)	202237938C	8,052,000	100%	100%

ბანკის ბენეფიციარი მფლობელები

ბენეფიციარი მფლობელი	წილი, %
ომარ-სალიმ დანანი	63.79%
საიმონ ჯეიმს ვანს-კოლინა	15.12%
დმიტრი ბოჩაროვ	11.10%
სხვა	9.99%
ჯამი	100%

ბანკს არ ჰყავს შვილობილი, მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოები და არ ფლობს ინვესტიციებს სხვა საწარმოებში. 2025 წელს, სამეთვალყურეო საბჭოს ავტორიზაციის საფუძველზე, ბანკმა დააფუძნა წარმომადგენლობის ოფისი ლონდონში, გაერთიანებულ სამეფოში. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმომადგენლობა ფორმალურად გახსნილი იყო, თუმცა ოპერაციული საქმიანობა ჯერ არ ჰქონდა დაწყებული და, შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდისთვის არ ჰქონია გავლენა ბანკის საზედამხედველო კაპიტალზე, რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე ან ფინანსურ ანგარიშგებაზე.



■ სექცია 03 | რისკების მართვა

რისკების მართვა და შიდა კონტროლი

პეივ ბანკი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მძლავრი რისკის კულტურის განვითარებას, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის ყველა დონეს. ეს ვალდებულება ემთხვევა როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის, ისე ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მარეგულირებელ მოთხოვნებს, რაც ხაზს უსვამს ეთიკურ ქცევას, ანგარიშვალდებულებას და რისკების ეფექტურ მართვას.

ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის საქმიანობისათვის და ბანკის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა არაფინანსური რისკები. ბანკის მიერ დანერგილი რისკის მართვის სისტემა საქმიანობის თითოეული მიმართულებისთვის თითოეული ტიპის რისკის დასაშვებ დონეს აწესებს და უზრუნველყოფს მის დაცვას.

ბანკის რისკის მართვისა და რისკის აპეტიტის ჩარჩო სრულად შეესაბამება მის სტრატეგიულ მიმართულებასა და ბიზნეს მოდელს. რისკის აპეტიტი განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და წარმოადგენს იმ საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც ბანკი მართავს თავის ოპერაციებს. ეს მოიცავს რისკის ტიპებსა და დონეებს, რომელთა აღებაც ბანკს სურს თავისი მიზნების მისაღწევად, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას სტრატეგიას, კაპიტალის დაგეგმვასა და რისკების მართვის პრაქტიკას შორის.

ბანკი ხელს უწყობს ძლიერ და ეთიკურ რისკების კულტურას, რომელსაც მხარს უჭერს მისი ქცევის კოდექსი და ბიზნეს ეთიკა, მკაფიოდ განსაზღვრული საოპერაციო ლიმიტები და რისკის ლიმიტების დარღვევის მოგვარების დოკუმენტირებული პროცედურები. ბანკი უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელს ესმოდეს თავისი როლი რისკების მართვაში რეგულარული ტრენინგების, ცნობიერების ამაღლების ინიციატივებისა და შიდა სახელმძღვანელო მითითებების დაცვით, რომლებიც აძლიერებენ ანგარიშვალდებულებას. რისკების კულტურის განმტკიცება ინტეგრირებულია ბანკის ყოველდღიურ ოპერაციებში და განმტკიცებულია სისტემატური რეპორტირებისა და ესკალაციის მექანიზმებით, რომლებიც აქტიურდება რისკის ზღვარების გადაჭარბების შემთხვევაში.



■ საქცია 03 | რისკების მართვა

ბიზნეს ერთეულებსა და რისკების ფუნქციას შორის ურთიერთობა განისაზღვრება თავდაცვის სამი ხაზის სტრუქტურირებული მოდელის მეშვეობით. ბიზნეს ერთეულები პასუხისმგებელნი არიან თავიანთ საქმიანობაში რისკების იდენტიფიცირებასა და მართვაზე, ხოლო დამოუკიდებელი რისკებისა და შესაბამისობის ფუნქციები ზედამხედველობენ ამ პროცესს და აყენებენ კითხვებს განხორციელებული შეფასებების თაობაზე. აღნიშნული დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია მათი უშუალო ანგარიშვალდებულებით სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რაც გამორიცხავს აღმასრულებელი მენეჯმენტის ზეგავლენას და ამცირებს ინტერესთა კონფლიქტის რისკს. ხაზებს შორის თანამშრომლობა უზრუნველყოფილია ერთობლივი კომიტეტების მუშაობითა და რისკებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ რეგულარული დისკუსიებით, რაც ხელს უწყობს რისკების ადრეულ იდენტიფიცირებას და ეფექტიან მოგვარებას.

რისკების შესახებ ინფორმაცია რეგულარულად ეცნობება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს ყოვლისმომცველი პანელებითა და დეტალური ანგარიშების მეშვეობით. ეს ანგარიშები მოიცავს ბანკის რისკის პოზიციას რისკის აპეტიტის მიმართ, ძირითად რისკის ინდიკატორებს, დარღვევებს, ადრეული გაფრთხილების სიგნალებსა და ტენდენციებს. ანგარიშები იერარქიულად არის დალაგებული წონის მიხედვით, მაღალი რისკის დარღვევების შემთხვევაში საჭიროა დაუყოვნებელი ესკალაცია. ანგარიშგების ჩარჩო შექმნილია როგორც მიმდინარე რისკის სტატუსის, ასევე მომავალზე ორიენტირებული ანალიზის უზრუნველსაყოფად, რათა ხელი შეუწყოს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს უმაღლეს დონეზე. სამეთვალყურეო საბჭო რისკების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკების განხილვას ახორციელებს რეგულარული კვარტალური შეხვედრების ფარგლებში.

ბანკი ამჟამად არ არის ჩართული საკრედიტო საქმიანობაში, შესაბამისად, დაკრედიტებასთან დაკავშირებული მოთხოვნები და მეტრიკები არ გამოიყენება.

რისკების მართვის მმართველობითი სტრუქტურა

- **დირექტორთა საბჭო:** პასუხისმგებელია რისკების მართვის ჩარჩოს საერთო ზედამხედველობაზე, მათ შორის რისკების ძირითადი პოლიტიკის დამტკიცებაზე, პროცედურების განხილვაზე და ბანკის რისკების კულტურის სტრატეგიულ დაგეგმვასა და ყოველდღიურ ოპერაციებში ინტეგრირების უზრუნველყოფაზე.
- **სამეთვალყურეო საბჭო:** საბჭო უზრუნველყოფს რისკების მდგრადი კულტურის შენარჩუნებას რისკის პოლიტიკის რეგულარულად განხილვით და დამტკიცებით, რისკის აპეტიტის დადგენით და რისკის მართვის ჩარჩოების დანერგვის ზედამხედველობით.
- **აღმასრულებელი დირექტორები:** დირექტორებს ევალებათ გადააქციონ საბჭოს რისკის პოლიტიკები ქმედითუნარიან სტრატეგიებად და უზრუნველყონ მათი ეფექტური გავრცელება მთელ ორგანიზაციაში.



■ საქცია 03 | რისკების მართვა

- **რისკების კომიტეტი:** პეივ ბანკმა შექმნა რისკების კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენლებისგან. რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია რისკის კულტურის მონიტორინგზე და ბანკის რისკის მართვის მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ბანკის მუშაობის განმავლობაში შეიძლება შეიქმნას სხვა სპეციალიზებული რისკის კომიტეტები.

ეს მრავალსაფეხურიანი მმართველობითი სტრუქტურა უზრუნველყოფს მტკიცე ზედამხედველობას, რაც ბანკს საშუალებას აძლევს ეფექტურად უპასუხოს რისკების ცვალებად გარემოებებს და შეინარჩუნოს თავისი სტრატეგიული მიზნები.

ბანკი იყენებს სტრეს-ტესტირების სხვადასხვა ჩარჩოს, რათა შეაფასოს თავისი მდგრადობა არასასურველი სცენარების პირობებში და მხარი დაუჭიროს კაპიტალისა და ლიკვიდობის ადეკვატურობის შეფასებას. აღნიშნული ჩარჩოები ინტეგრირებულია ბანკის ICAAP-ისა და ILAAP-ის პროცესებში და შესაბამისობაშია ბაზელის პრინციპებთან, ევროპის საბანკო ორგანოს (EBA) ICAAP-ისა და ILAAP-ის სახელმძღვანელოებთან, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელ მოთხოვნებთან. სტრეს-ტესტირების შედეგები გამოიყენება ბანკის კაპიტალისა და ლიკვიდობის ადეკვატურობის შესაფასებლად მისი რისკის პროფილის, ბიზნეს სტრატეგიისა და საოპერაციო გარემოს გათვალისწინებით და ინტეგრირებულია რისკების მართვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ჩარჩოში.

გარდა ამისა, ბანკს აქვს აღდგენის გეგმა (Recovery Plan), რომელიც შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად და ფინანსური სტაბილურობის საბჭოს (FSB) და ევროპის საბანკო ორგანოს (EBA) საუკეთესო პრაქტიკებთან თანხვედრაში. აღდგენის გეგმა განსაზღვრავს აღდგენის ღონისძიებების სტრუქტურირებულ ნაკრებს, მმართველობით მოწყობასა და ესკალაციის პროცედურებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფინანსური სტრესის პერიოდებში დროული და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფას. გეგმის მიზანია ბანკის ფინანსური სტაბილურობის დაცვა, კრიტიკული ბიზნეს ფუნქციების უწყვეტობის შენარჩუნება, წინასწარ განსაზღვრული ქმედებების მეშვეობით ფინანსური მდგრადობის აღდგენა, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობისა და საზედამხედველო გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ასევე მომხმარებელთა ნდობისა და ბაზრის რწმენის შენარჩუნება.

ბანკის სტრატეგია და რისკების შეფასება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი აქტიურად მონაწილეობენ ბანკის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში, შეფასებასა და რისკ-პროფილის ზედამხედველობაში. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს რისკის აპეტიტს და ამტკიცებს რისკების მართვის ჩარჩოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტრატეგიული შესაბამისობა ბანკის ოპერაციულ მოდელთან. დირექტორატი კი უზრუნველყოს აღნიშნული ჩარჩოს ინტეგრირებას ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში, ძლიერი შიდა კონტროლებისა და შესაბამისობის მონიტორინგის გზით.



■ საქცია 03 | რისკების მართვა

სტრატეგიული და ტაქტიკური რისკების შესახებ გადაწყვეტილებები ეფუძნება მომავალზე ორიენტირებულ სცენარების ანალიზს, რისკების შესახებ რეგულარულ ანგარიშგებას და რაოდენობრივი და თვისობრივი ზღვრების დაცვას. ეს პროცესები განუყოფელი ნაწილია რისკის ექსპოზიციის ბანკის შეზღუდულ რისკის აპეტიტთან შესაბამისობაში მოსაყვანად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო საქმიანობა არ ხორციელდება.

რისკის მიმართ მიდგომის ჩარჩო მკაცრად განსაზღვრავს საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკების ზღვარს, ხოლო ოპერაციული რისკების მიმართულებით ითვალისწინებს ზომიერ და მჭიდროდ კონტროლირებად მიდგომას.

2025 წლის განმავლობაში და ამ წლიური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის 2026 წელს, ბანკი არ ახორციელებს სასესხო საქმიანობას. შესაბამისად, რისკის მიმართ მიდგომა გამორიცხავს მაღალ საკრედიტო და საბაზრო რისკს და მეტ აქცენტს აკეთებს ლიკვიდობასა და ოპერაციულ მდგრადობაზე. ეს უზრუნველყოფს, რომ ყველა აქტივობა განხორციელდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი განისაზღვრება როგორც ფინანსური ზარალის მიღების შესაძლებლობა, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც მსესხებელი ან კონტრაგენტი ვერ ასრულებს საკუთარ ფინანსურ ვალდებულებებს. აღნიშნული რისკი შეიძლება სხვადასხვა წყაროდან გამომდინარეობდეს, მათ შორის საინვესტიციო აქტივებიდან, წარმოებულ ინსტრუმენტებთან (დერივატივებთან) დაკავშირებული პოზიციებიდან და სხვა საკრედიტო პოზიციებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ამჟამად არ ახორციელებს სესხების გაცემას, მას შესაძლოა საკრედიტო რისკი გაუჩნდეს სხვა ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების მიწოდებისგან.

ბანკი ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების" (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად:

- **12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი** - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში.
- **არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი** - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.



■ საქცია 03 | რისკების მართვა

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ რისკი არ არის გაზრდილი მოქმედებს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. 2025 წლის განმავლობაში ბანკი არ ეწეოდა საკრედიტო საქმიანობას.

ბანკი იყენებს საერთაშორისო აღიარების მექანე გარე საკრედიტო შეფასების ინსტიტუტების (External Credit Assessment Institutions - ECAIs) მიერ მინიჭებულ საკრედიტო რეიტინგებს, მათ შორის Fitch Ratings-ის, Moody's Ratings-ისა და S&P Global Ratings-ის რეიტინგებს, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულია საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის. გარე საკრედიტო რეიტინგები გამოიყენება ცენტრალური მთავრობების, ცენტრალური ბანკების, კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ არსებული რისკის პოზიციების შეფასებისა და რისკის მიხედვით შეწონვის მიზნით, მათ შორის ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული სახსრებისა და სუვერენულ სავალო ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციების შემთხვევაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება, რაც გამოწვეული იქნება ცვლილებებით საბაზრო ცვლადებში, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთი და უცხოური გაცვლითი კურსი. უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივების (ფულადი სახსრები ბანკებში) და აშშ-ის დოლარში დენომინირებული აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების გარდა ბანკს არ გააჩნია არსებითი საბაზრო რისკი.

ბანკში საბაზრო რისკის მართვის კორპორაციულ ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ამტკიცებს ბანკის დონეზე განსაზღვრულ საბაზრო რისკის აპეტიტს და ზედამხედველობს მის განხორციელებას. ბანკის ძირითადი საბაზრო რისკის ექსპოზიციები რეგულარულად მონიტორინგდება რისკის აპეტიტის ჩარჩოს ფარგლებში დადგენილ შიდა ლიმიტებთან მიმართებით. უცხოური ვალუტის რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი პერიოდულად წარედგინება დირექტორთა საბჭოს და ფასდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მარეგულირებელ ლიმიტებთან შესაბამისობის კუთხით. 2025 წლის განმავლობაში ბანკი სრულ შესაბამისობაში იყო საბაზრო რისკთან დაკავშირებულ ყველა მოქმედ მოთხოვნასა და ლიმიტთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არსებითად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას არ გააჩნია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები, რომლებიც ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მატარებელია.



■ საქმე 03 | რისკების მართვა

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ეხება იმ შესაძლებლობას, რომ ბანკმა ვერ შეძლოს თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულება მათ დადგომის დროს, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სტრესულ პირობებში. ბანკი მართავს ლიკვიდურობას მჭიდრო მონიტორინგის, ნაღდი ფულადი ნაკადების ანალიზისა და არასათანადო შესაბამისობების იდენტიფიცირების გზით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი სრულად აკმაყოფილებდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) და მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების (HQLA) მოთხოვნებს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება არაადეკვატური ან ჩავარდნილი შიდა პროცესების, სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მოვლენების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციული რისკების სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია, მათი შემცირება შესაძლებელია ეფექტური შიდა კონტროლების მეშვეობით, მათ შორის:

- მოვალეობების მკაფიო დანაწილება და პასუხისმგებლობების განსაზღვრა;
- იერარქიული წვდომის უფლებები და „ოთხი თვალის პრინციპი“;
- რისკზე ორიენტირებული ძლიერი ორგანიზაციული კულტურა;
- შიდა აუდიტის მეშვეობით ჩატარებული შემოწმებები და რისკების შეფასება.

ოპერაციული რისკების მართვის სტრუქტურა მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორებს, უფროს მენეჯმენტს და რისკების კომიტეტს. საბჭო უზრუნველყოფს ზედამხედველობას და ადგენს რისკის აპეტიტს, ხოლო დირექტორები პასუხისმგებელნი არიან ORM ჩარჩოს განხორციელებასა და შენარჩუნებაზე. ძირითადი კომიტეტები, როგორებიცაა რისკის კომიტეტი, მხარს უჭერს მმართველობის სტრუქტურას კონკრეტული რისკის სფეროებზე ფოკუსირაში.

2025 წლიდან ბანკი კლიენტებს სთავაზობს საინვესტიციო საბროკერო/აგენტურ მომსახურებებს, სადაც მოქმედებს მხოლოდ როგორც აგენტი და შუამავალი კლიენტების მიერ ინიცირებული საინვესტიციო ტრანზაქციების შესრულებისას. აღნიშნული მოდელის ფარგლებში კლიენტები ბანკს გადასცემენ ფულად სახსრებს კონკრეტულ საინვესტიციო ინსტრუმენტებში განსათავსებლად, მკაფიო და ინდივიდუალური ინსტრუქციების საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია შესაბამისი ინსტრუმენტი, თანხა, ვადიანობა და სხვა პარამეტრები. ბანკს არ გააჩნია თავისუფალი განკარგვის უფლება აღნიშნული სახსრების მართვასთან დაკავშირებით და არ ეკისრება სახელშეკრულებო ვალდებულება საკუთარი რესურსებიდან ინვესტირებული თანხების დაბრუნების ან რაიმე საინვესტიციო შედეგის გარანტირების შესახებ.



■ სექცია 03 | რისკების მართვა

საინვესტიციო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ყველა საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკი სრულად ეკისრება კლიენტს. ვინაიდან აღნიშნული ურთიერთობა აკმაყოფილებს სააგენტო ურთიერთობის განსაზღვრებას და გადმორიცხული სახსრები არ წარმოადგენს ბანკის ფინანსურ ვალდებულებას IFRS 9-ის შესაბამისად, კლიენტების საინვესტიციო აქტივები ბანკის საბალანსო უწყისში არ აღიარდება და არ შედის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისა და საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში.

მიუხედავად პირდაპირი ფინანსური რისკის არარსებობისა, ბანკი ექვემდებარება აღნიშნული კლიენტების აქტივების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საოპერაციო და იურიდიულ რისკებს, რომლებიც იმართება უწყვეტი მონიტორინგის და ბანკში არსებული საოპერაციო და იურიდიულ რისკების მართვის ჩარჩოების ფარგლებში.

მარეგულირებლის რისკი

როგორც რეგულირებადი საფინანსო ინსტიტუტი, ბანკი ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის უწყვეტ ზედამხედველობას. მარეგულირებლის რისკი გულისხმობს იმ პოტენციურ ზეგავლენას, რაც შეიძლება მოჰყვეს კანონმდებლობის ან რეგულაციების ცვლილებას, ეს შეიძლება გავრცელდეს მთელ სექტორზე ან კონკრეტულად ბანკზე. აღნიშნული ცვლილებები შესაძლოა გავლენას ახდენდეს ბანკის კაპიტალის მოთხოვნებზე, ანგარიშგების ვალდებულებებსა და მომგებიანობაზე.

როგორც წესი, ეროვნული ბანკი გეგმიური მარეგულირებლი ცვლილებების შესახებ წინასწარ ატყობინებს ფინანსურ ინსტიტუტებს, რაც საშუალებას აძლევს მათ დროულად მოემზადონ. შესაბამისად, იმის ალბათობა, რომ მარეგულირებლი რისკი რეალიზდეს მომზადებისთვის არასაკმარისი ვადით, შეფასებულია როგორც დაბალი.



■ სექცია 04 | საზედამხედველო კაპიტალი

საზედამხედველო კაპიტალი და ძირითადი მაჩვენებლები

სს „პეივ ბანკ ჯორჯია“ ინარჩუნებს კაპიტალის მყარ პოზიციას, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს. ეს ჩარჩო დაფუძნებულია ბაზელის III სტანდარტზე და მოიცავს როგორც პილარ 1-ზე დაფუძნებულ მინიმალურ მოთხოვნებს, ასევე პილარ 2-ისა და კომბინირებული ბუფერის ჩარჩოს ფარგლებში დაწესებულ დამატებით კაპიტალის ბუფერებს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „პეივ ბანკ ჯორჯია“-ს ჰქონდა ძლიერი კაპიტალის პოზიცია და სრულად აკმაყოფილებდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ბანკის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მხოლოდ ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1) ინსტრუმენტებისგან. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ ჰქონია გაცემული დამატებითი Tier 1 (AT1) ან Tier 2 კაპიტალის ინსტრუმენტები.

პირველი პილარის ფარგლებში, ბანკს მოეთხოვება მინიმუმ შემდეგი კაპიტალის მაჩვენებლების დაცვა:

- ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა - 4.50%;
- პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა - 6.00%;
- საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა - 8.00%.

გარდა ამისა, ბანკი ექვემდებარება კომბინირებულ ბუფერის მოთხოვნას, რომელიც მოიცავს 2.5%-იან კაპიტალის კონსერვაციის ბუფერს და 0.50%-იან კონტრციკლურ ბუფერს. შესაბამისად, ბუფერების საერთო ოდენობა შეადგენს 3.00%-ს. ეს მოთხოვნები ემატება მინიმალურ ზღვარს და უზრუნველყოფს, რომ ბანკს გააჩნდეს საკმარისი კაპიტალი ეკონომიკური ან ფინანსური სტრესის პერიოდების გადასატანად.

2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, ბანკის CET1 კაპიტალი შეადგენდა 8.69 მლნ ლარს, რაც ასევე წარმოადგენს ბანკის ძირითად პირველად კაპიტალს და მთლიან საზედამხედველო კაპიტალს. აღნიშნული კაპიტალი შედარებულია რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან (RWA), რომელიც შეადგენს 38.44 მლნ ლარს. შედეგად, ბანკს აქვს მაღალი მარეგულირებელი კოეფიციენტები:

- ძირითადი პირველადი კაპიტალი: 23%;
- პირველადი კაპიტალი: 23%;
- საზედამხედველო კაპიტალი: 23%;
- ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა: 3,559,837 ლარი;
- პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა: 4,366,113 ლარი;



■ სექცია 04 | საზედამხედველო კაპიტალი

- საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა: 5,437,117 ლარი.

ეს ნიშნავს, რომ ბანკს ჰქონდა ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნით მოთხოვნილ მაჩვენებლებზე 2.4-ჯერ მეტი კაპიტალი და მნიშვნელოვანი ჭარბი კაპიტალი ყველა სხვა კატეგორიაში.

აღნიშნული მაღალი მაჩვენებლები ასახავს სს „პეივ ბანკ ჯორჯია“-ს წინდახედული კაპიტალის დაგეგმვას, დაბალ რისკს ბალანსის სტრუქტურაში მისი საწყისი ოპერაციული ეტაპის ფარგლებში და ზომიერ მიდგომას ბერკეტის (leverage) მიმართ. ბანკმა მთელი 2025 წლის განმავლობაში შეინარჩუნა მინიმალურ მოთხოვნებზე არსებითად მაღალი კაპიტალის ბუფერები, რაც ქმნის მყარ საფუძველს 2026 წელს ოპერაციების გაფართოებისთვის.

შეჯამებით, „პეივ ბანკის“ კაპიტალის პოზიცია მყარია, მნიშვნელოვანი რეზერვით რეგულაციურ მოთხოვნებთან შედარებით. ეს კაპიტალის სიმტკიცე უზრუნველყოფს ბანკის სტრატეგიულ პრიორიტეტებს, სტრესულ სიტუაციებში მდგრადობას და რეგულატორულ მოთხოვნებთან შესაბამისობას, როგორც კი ბანკი გააფართოებს საქმიანობას. კაპიტალის დაგეგმვის პროცესი ინტეგრირებულია ბანკის რისკების მართვისა და კორპორაციული მმართველობის სისტემებში.



■ სექცია 04 | საზედამხედველო კაპიტალი

კაპიტალის სტრუქტურა და მოთხოვნები

N	მინიმალური მოთხოვნები	კოეფიციენტი	თანხა (ლარი)
1	პილარ 1-ის მოთხოვნები		
1.1	ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	4.50%	1,729,650
1.2	პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	6.00%	2,306,200
1.3	საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	8.00%	3,074,934
2	კომპინირებული ბუფარი		
2.1	კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	2.50%	960,917
2.2	კონტრციკლური ბუფერი	0.50%	192,183
2.3	სისტემური რისკის ბუფერი	0.00%	-
3	პილარ 2-ის მოთხოვნა		
3.1	პილარ 2-ის მოთხოვნა ძირითად პირველად კაპიტალზე	1.76%	677,086
3.2	პილარ 2-ის მოთხოვნა პირველად კაპიტალზე	2.36%	906,812
3.3	პილარ 2-ის მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალზე	3.15%	1,209,083
	ჯამური მოთხოვნები	კოეფიციენტი	თანხა (ლარი)
4	ძირითადი პირველადი კაპიტალი	9.26%	3,559,837
5	პირველადი კაპიტალი	11.36%	4,366,113
6	საზედამხედველო კაპიტალი	14.15%	5,437,117



■ სექცია 04 | საზედამხედველო კაპიტალი

ძირითადი მაჩვენებლები კვარტლების მიხედვით

N	მაჩვენებელი	4Q-25	3Q-25	2Q-25	1Q-25
საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი) - ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
1	ძირითადი პირველადი კაპიტალი	8,694,125	7,975,243	7,278,615	6,989,691
2	პირველადი კაპიტალი	8,694,125	7,975,243	7,278,615	6,989,691
3	საზედამხედველო კაპიტალი	8,694,125	7,975,243	7,278,615	6,989,691
4	ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	3,559,837	3,138,306	1,689,687	1,641,422
5	პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	4,366,113	3,789,269	2,033,903	1,970,275
6	საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	5,437,117	4,656,224	2,492,590	2,408,720
რისკის მიხედვით შენონილი მთლიანი რისკის პოზიციები (მოცულობა, ლარი)					
7	რისკის მიხედვით შენონილი მთლიანი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	38,436,675	39,613,458	21,928,151	21,831,289
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები (%) - ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით					
8	ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	23%	20%	33%	32%
9	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	23%	20%	33%	32%
10	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	23%	20%	33%	32%
11	ძირითადი პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	9%	8%	8%	8%
12	პირველადი კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	11%	10%	9%	9%
13	საზედამხედველო კაპიტალის ჯამური მოთხოვნა	14%	12%	11%	11%
დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნა (MREL)					
14	დაშვებული ვალდებულებები და კაპიტალის ინსტრუმენტები / მთლიან ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალთან (MREL Resource / TLOF)	0%	0%	0%	0%
მოგება					
15	მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	3%	3%	3%	4%
16	მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	0%	0%	0%	0%
17	საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	3%	2%	1%	-3%
18	წმინდა საპროცენტო მარჟა	3%	3%	3%	4%
19	უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	0%	-1%	-4%	-9%
20	უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	19%	14%	3%	-9%
აქტივების ხარისხი					
21	უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	0%	0%	0%	0%
22	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი / მთლიან სესხებთან	0%	0%	0%	0%
23	უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	0%	0%	0%	0%
24	უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	90%	87%	82%	72%
25	მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	0%	0%	0%	0%
ლიკვიდობა					
26	ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	99%	95%	97%	98%
27	უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	97%	96%	95%	92%
28	მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	84%	79%	80%	73%

საანგარიშგებო პერიოდში ბანკმა მნიშვნელოვანი ზრდა დააფიქსირა ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ სახსრებსა და სუვერენულ სავალო ფასიან ქაღალდებში განხორციელებულ ინვესტიციებში, რაც ძირითადად განპირობებული იყო ლიკვიდობის მართვის აქტივობებითა და



■ სექცია 05 | ანაზღაურების პოლიტიკა

ანაზღაურების პოლიტიკა

სს „პეივ ბანკ ჯორჯია“ ხელს უწყობს გამჭვირვალე, პასუხისმგებლიანი და რისკზე ორიენტირებული კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებას. ბანკის ანაზღაურების პოლიტიკა შეესაბამება მისი გრძელვადიანი ბიზნეს სტრატეგიის, რისკისადმი მიდგომის, ღირებულებებისა და მარეგულირებელი მოთხოვნების ჩათვლით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის შემუშავებული კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპებს.

ანაზღაურების ჩარჩო ვრცელდება ყველა თანამშრომელზე და განსაკუთრებული სტრუქტურა აქვს იმ პირებისთვის, რომლებიც განისაზღვრებიან როგორც მნიშვნელოვანი რისკის ამღები პირები. მათ შორის არიან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, დირექტორატი და ძირითადი კონტროლის ფუნქციების ხელმძღვანელები (მაგალითად: რისკები, შესაბამისობა, შიდა აუდიტი). აღნიშნული სიის გადახედვა ხდება პერიოდულად, ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებასთან ერთად.

მნიშვნელოვანი რისკის ამღებ პირებად (MRT) იდენტიფიცირდებიან ის თანამშრომლები, რომელთა პროფესიულ საქმიანობას არსებითი გავლენა აქვს ბანკის რისკის პროფილზე, საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ჩარჩოსა და ბანკის შიდა ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად. იდენტიფიკაციის პროცესი ეფუძნება როგორც ხარისხობრივ, ასევე რაოდენობრივ კრიტერიუმებს, მათ შორის კორპორაციული მართვის როლებს, კონტროლის ფუნქციებზე ან მნიშვნელოვან ბიზნეს ერთეულებზე მმართველობით პასუხისმგებლობას, მნიშვნელოვანი რისკის ამღებ გადანაცვტილებებზე უფლებამოსილებას, ასევე მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრულ ანაზღაურების ზღვრებს. ბანკის შიდა პოლიტიკა მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა ითვალისწინებდეს უფრო მკაცრ კრიტერიუმებს.

ანაზღაურების პოლიტიკის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც პირდაპირ ამტკიცებს და აკვირდება მის შესრულებას. ბანკში არ არის შექმნილი ანაზღაურების კომიტეტი. ანაზღაურების პოლიტიკის შემუშავებასა და გადახედვაში 2025 წელს არ ჩართულა გარე კონსულტანტი.

ანაზღაურების პოლიტიკა სტრუქტურირებულია ბიზნეს ხაზებისა და პოზიციების მიხედვით და პროპორციულად ვრცელდება ბანკის მთელ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე. ყველა გადანაცვტილება ეფუძნება ობიექტურობას, საბაზრო მაჩვენებლებსა და რისკთან შესაბამის კრიტერიუმებს.



■ სექცია 05 | ანაზღაურების პოლიტიკა

ბანკი აღიარებს, რომ ანაზღაურების სისტემებმა, თუ ისინი სათანადოდ არ არის შემუშავებული და მართული, შეიძლება წარმოშვას რისკები, მათ შორის ისეთი სტიმულები, რომლებიც ხელს უწყობს გადაჭარბებულ ან მოკლევადიან რისკის აღებას, შეუსაბამობას ბანკის რისკის აპეტიტსა და გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებთან, ან რისკის გათვალისწინებით შეფასებული შედეგების არასაკმარის ასახვას. აღნიშნული რისკების შესამცირებლად, ანაზღაურების ჩარჩო ისეა სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფდეს მჭიდრო შესაბამისობას ბანკის რისკების მართვის ჩარჩოსთან და მოიცავდეს დაბალანსებულ ფინანსურ, არაფინანსურ და რისკთან დაკავშირებულ შესრულების მაჩვენებლებს, ასევე მმართველობით მექანიზმებს, როგორიცაა გადავადებული ანაზღაურების მექანიზმები, შესრულებაზე დაფუძნებული კორექტირებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - malus-ისა და clawback-ის მექანიზმები.

აღნიშნული ზომები უზრუნველყოფს, რომ ანაზღაურების შედეგები ასახავდეს მდგრად შესრულებას და ხელს უწყობდეს გონივრულ რისკის აღებას ორგანიზაციის ყველა დონეზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი მოლოდინების შესაბამისად.

ანაზღაურების სტრუქტურა

ბანკში ანაზღაურება შედგება ფიქსირებული და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლადი კომპონენტებისგან:

ფიქსირებული ანაზღაურება წარმოადგენს ძირითად კომპონენტს ყველა თანამშრომლისთვის, მათ შორის უფროსი მენეჯმენტისთვის. ის ასახავს თანამდებობის არსს, პასუხისმგებლობის დონეს, საბაზრო მაჩვენებლებსა და შედეგების შესრულებას. მოიცავს როგორც ფულად (ძირითადი ხელფასი), ასევე არაფულად ელემენტებს (მაგალითად: პროფესიული განვითარება, მივლინების ხარჯები).

ცვლადი ანაზღაურება, თუ გამოიყენება, ეფუძნება შედეგებს, არ არის გარანტირებული და დამოკიდებულია ძირითადი შესრულების მაჩვენებლების მიღწევასა და გონივრულ რისკზე. ცვლადი ანაზღაურების გადავადების ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს შესაბამისი პირის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების რეალიზაციის პერიოდის გათვალისწინებით. გადავადებული ანაზღაურება შესაძლებელია შემცირდეს ან დაბრუნდეს უკან არაკეთილსინდისიერების, რეგულაციების დარღვევის ან არსებითი რისკის შემთხვევების დროს.

გადავადებული კომპენსაცია ექვემდებარება შესრულებისა და რისკის შეფასებას გადავადების პერიოდში და მისი გადახდა შესაძლებელია ნაწილობრივ ან სრულად პერიოდის დასრულების შემდეგ. შემცირების ან უკან გამოხმობის საფუძვლებია: არაკეთილსინდისიერება, ქცევის კოდექსისა და ეთიკის დარღვევა, ზედამხედველობის სანქციები, ბანკის საქმიანობის მნიშვნელოვანი გაუარესება ან კაპიტალის მოთხოვნების ზრდა ინდივიდუალური ქმედებების გამო.

ანგარიშგების პერიოდში ანაზღაურების პოლიტიკა არ შეცვლილა. ბანკს არ გამოუშვია აქციები, ოფციონები ან ჰიბრიდული ინსტრუმენტები ცვლადი ანაზღაურების სახით.



■ სექცია 05 | ანაზღაურების პოლიტიკა

მართვა და თანაბარი შესაძლებლობები

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ანაზღაურების პოლიტიკის, მათ შორის მისი სტრუქტურის, განახლების და უმაღლესი რგოლის მენეჯმენტსა და მნიშვნელოვანი რისკის მატარებელ პირებზე გავრცელების დამტკიცებასა და მონიტორინგზე. პოლიტიკის შესრულებას უზრუნველყოფს დირექტორატი და საჭიროების მიხედვით წარმოადგენს განახლების ინიციატივას სტრატეგიულ საჭიროებებზე დაყრდნობით.

ბანკი ანაზღაურების ყველა გადაწყვეტილებაში ემხრობა თანაბარი შესაძლებლობების, დისკრიმინაციის არქონისა და დამსახურების პრინციპებს. ხელფასები და სარგებელი განისაზღვრება ობიექტურად, თანამშრომლის კვალიფიკაციის, პასუხისმგებლობისა და საქმიანობის შედეგების საფუძველზე და არ არის დამოკიდებული პიროვნულ მახასიათებლებზე.

დამოუკიდებელ საკონტროლო ფუნქციებში დასაქმებულ თანამშრომელთა ანაზღაურება (მათ შორის, რისკების მართვის, შესაბამისობისა და შიდა აუდიტის ფუნქციებში) სტრუქტურულად დამოუკიდებელია იმ ბიზნეს მიმართულებების საქმიანობის შედეგებისგან, რომლებზეც აღნიშნული ფუნქციები ზედამხედველობას ახორციელებენ. ეს უზრუნველყოფს საკონტროლო ფუნქციების დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და გამორიცხავს ანაზღაურების წამახალისებელი მექანიზმების გავლენით მათი ობიექტურობის კომპრომეტირებას.



გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები

სს „პეივ ბანკ ჯორჯია“-მ გააერთიანა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკები და შესაძლებლობები თავის გრძელვადიან ბიზნეს მოდელში. ESG-ის გათვალისწინება ინტეგრირებულია ბანკის რისკების მართვის ჩარჩოში, რაც შესაძლებელს ხდის ESG-თან დაკავშირებული რისკების იდენტიფიკაციას, შეფასებასა და შერბილებას.

სს „პეივ ბანკ ჯორჯია“ ოპერირებს ბაზარზე, რომელიც სულ უფრო მეტად ექცევა გარემოსდაცვითი და სოციალურ გამოწვევების გავლენების ქვეშ. მის ESG ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ბანკი ითხოვს, რომ კონტრაგენტებმა დაიცვან პრინციპები, რომლებიც განსაზღვრულია მისი ESG ჩარჩოს ფარგლებში.

მიმდინარე ეტაპზე, როცა სს „პეივ ბანკ ჯორჯია“ თავისი ოპერაციული საქმიანობის საწყის ეტაპზე იმყოფება და შეზღუდული მასშტაბით ფუნქციონირებს, სესხების პროდუქტების შეთავაზების გარეშე, ზოგიერთი ESG სტანდარტის გამოყენება ამ დროისთვის შეზღუდულია. თუმცა, ბანკის ზრდასთან და პროდუქტის პორტფელის დივერსიფიკაციასთან ერთად, მოხდება ESG კრიტერიუმების უფრო ფართო ინტეგრაცია.

გარდა ამისა, ბანკი აქტიურად უჭერს მხარს მრავალფეროვნებას, ჩართულობასა და ეთიკურ მმართველობას თავისი საქმიანობის ყველა მიმართულებით, რითაც კიდევ უფრო ამყარებს საკუთარ როლს, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მექანე ფინანსური ინსტიტუტი.

PAVEBANK

პილარ 3 წლიური
ანგარიშგება

PAVEBANK.COM